Lekso Kulua
Student, Technical University of Georgia

Contemporary Aspects of Propaganda In North Korea

(Abstract)

KEYWORDS: DPRK, Kim Il-Sung, Kim Jong Il, Kim Jong-Un, Internet, Intranet, Songbun, Propaganda, Censorship, TV, Ri Chun-hee

After the Second World War, the Korean Peninsula was bifurcated into two states: the North, under Soviet influence, and the South, aligned with the United States. In June 1950, North Korea crossed the 38th parallel, breaching the armistice line and initiating the Korean War; Kim Il-sung's designs on reunification, despite Soviet reluctance and Stalin's assessment of the South's superior forces, precipitated an invasion that drew direct American intervention. Three years of pitched combat, vast civilian suffering and military losses – by some estimates approaching three million casualties – concluded not with a peace treaty but with an armistice signed on 27 July 1953. The conflict endures in historical memory as one of the twentieth century's most devastating, and its legacy shaped mutual perceptions: in Pyongyang, the United States came to be regarded as a perpetual adversary and reunification under northern leadership became a thwarted objective.

North Korea's calendrical practice likewise reflects the regime's identity politics. From 1997 until 2024, the state employed two systems in parallel: the internationally standard Gregorian calendar and the domestically significant Juche calendar, which counts years from 1912, the birth year of Kim Il-sung. This dual dating convention encapsulates the regime's

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

insistence on a founding myth while remaining formally engaged with global temporal norms.

The state's information apparatus rests on two complementary pillars: censorship and propaganda. Print media are tightly circumscribed; the government permits a small, vetted number of newspapers, each subject to rigorous editorial supervision. Broadcasting is even more restricted: television offers only a handful of channels, predominantly devoted to sport, education and state messaging, while central radio and the Korean Central Broadcasting Service serve as the principal news sources. High-profile presenters such as Ri Chun-hee – long associated with the Central Broadcasting Service – play both performative and pedagogical roles, rehearsing official tones and training successive cohorts of announcers even as they rarely front the most sensitive bulletins themselves.

Censorship in North Korea is overt and punitive: foreign radio and television reception is proscribed, and access to genuine independent media is effectively nonexistent. Internet access is extremely limited and tightly controlled; the majority of citizens encounter an isolated intranet of domestic content or, at best, a curated set of foreign sites, chiefly Chinese. A small elite enjoy broader connectivity, but for most, the global web remains inaccessible. Some resourceful individuals circumvent restrictions by using Chinese receivers to access external broadcasts or by importing digital content on USB drives and other portable media.

Despite the state's efforts to contain information, cultural transmission of foreign material persists. Film and television have become particularly important conduits: South Korean dramas and Hollywood films circulate clandestinely, exchanged via memory cards and shared on local devices, thereby chipping away at the informational barrier the regime attempts to erect. Such illicit flows demonstrate both the limits of authoritarian control in

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

the digital age and the demand among North Koreans for alternative perspectives.

International indices reflect this constrained environment. Freedom House, for example, places North Korea at the lowest ranks for information freedom, typically adjacent to other severely repressive states. This numerical ranking confirms a qualitative reality: the state maintains an information ecosystem designed to insulate citizens from contestatory narratives while saturating public discourse with regime-affirming messages.

External flows of information about North Korea, however, do not provide straightforward mirrors of internal reality. The regime faces both domestic propaganda directed at its population and a parallel external environment in which adversarial actors disseminate disinformation about Pyongyang. The article documents how foreign media, particularly those from states at odds with North Korea, frequently propagate distorted accounts that are difficult to verify given restricted access to primary sources. Such distortions take multiple forms – from outright fabrications to selective reporting and analytically unsound inferences – and they can achieve virality through international news circuits, thereby shaping perceptions in ways that may serve particular geopolitical aims.

The piece systematically analyses these phenomena, showing how both state-manufactured narratives and hostile external misinformation converge to complicate any accurate appraisal of North Korean society and politics. By examining media structures, transmission channels and the patterns of mis- and disinformation, the study demonstrates how information control functions as an instrument of regime consolidation while simultaneously exposing the methodological difficulties confronting scholars and journalists attempting to reconstruct an evidentially robust account of life inside North Korea.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლექსო კულუა
სტუდენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პროპაგანდის თანამედროვე ასპექტები ჩრდილოეთ კორეაში

საკვანძო სიტყვები: ჩრდილოეთ კორეა, კიმ ირ სენი, კიმ ჩენ ირი, კიმ ჩენ ინი, ინტერნეტი, ინტრანეტი, სონბანი, პროპაგანდა, ცენზურა, ტელევიზია, ლი ჩუნ ჰი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია პროპაგანდის თანამედროვე ასპექტების განხილვა დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე იზოლირებული ქვეყნის, ჩრდილოეთ კორეის სახალხო რესპუბლიკის მაგალითზე. მოპოვებული ინფორმაციის საშუალებით წარმოდგენა გვექმნება ჩრდილოეთ კორეის სახალხო რესპუბლიკის მმართველობის ფორმებსა და ყოველდღიურობაზე, მოსახლეობის ინფორმირებულობის თაობაზე. თუმცა, როგორც DPRK-ის[1] მოსახლეობას არა აქვს მათივე მთავრობისგან ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომა, არც გარე სამყაროს გააჩნია სანდო წყაროები ჩრდილოეთ კორეის რეალური ფაქტებისა თუ მოვლენების გასაგებად.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კორეის ჩრდილოეთ ნაწილი საბჭოთა კავშირმა დაიკავა, ხოლო სამხრეთი – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ასე გაიყო კორეის ნახევარკუნძული ორ სახელმწიფოდ.[2] 1950 წლის 25 ივნისს ჩრდ. კორეამ დაარღვია ხელშეკრულება 38-ე პარალელის[3] შესახებ და სამხრეთში შეიჭრა.[4] DPRK-ს ჯარების სამხრეთ ტერიტორიაზე აგრესიას 1950-1953 წლების კორეის ომი მოჰყვა. ეს მთელი მსოფლიოსთვის სრულიად მოულოდნელი იყო. ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ირ სენს[5] იმედი ჰქონდა, რომ შეძლებდა კორეის გაერთიანებას. საამისოდ იოსებ სტალინსაც კი მიმართა, ქვეყნის გაერთიანების იდეა გააცნო, მაგრამ

BRAMS 2024 Nov
Volume 5, Issue 11
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

საბჭოეთის ლიდერმა მას მხარი არ დაუჭირა, ვინაიდან იცოდა, რომ სამხრეთ კორეას მეტი სამხედრო ძალა ჰყავდა. ამის მიუხედავად, კიმ ირ სენი მაინც შეიჭრა სამხრეთში. ომში ამერიკელებიც ჩაერთვნენ. სამწლიანი დაპირისპირების შემდეგ, რომლის დროსაც, თითქმის, 3 მლნ სამოქალაქო და სამხედრო პირი დაიღუპა, 1953 წლის 27 ივლისს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა.

ეს კონფლიქტი მსოფლიო ისტორიაში შევიდა, როგორც XX საუკუნის ერთ-ერთი სასტიკი და დაუნდობელი ომი. სწორედ ამის შემდეგ გადაიქცა ამერიკა „დაუძინებელი მტრის“ ხატად ჩრდილოეთ კორეისათვის, რადგან კიმ ირ სენს კორეის გაერთიანების საშუალება არ მისცა აშშ-მა.

დღეს ჩრდილოეთ კორეის სახალხო რესპუბლიკა ყველაზე იზოლირებული ქვეყანაა. მისი მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა არც კი იცის, რა ხდება დანარჩენ მსოფლიოში. იგი ცნობილია ტოტალიტარული რეჟიმით, ადამიანის უფლებათა დარღვევითა და სიღარიბით. მას მართავს კიმ ირ სენის შვილიშვილი და კიმ ჩენ ირის ვაჟი – კიმ ჩენ ინი (იგივე, კიმ ჯონ ინი),[6] რომელსაც მთელი ქვეყანა ეთაყვანება, როგორც დიქტატორული რეჟიმის პერიოდის ადამიანებს სჩვევიათ.

არაოფიციალური წყაროების მტკიცებით, მოსახლეობის 80% საკონცენტრაციო ბანაკებშია გამოკეტილი. ასეთი ბანაკი სულ ექვსია ქვეყანაში. ბანაკის წესების მიხედვით, თუ ვინმე მეტ საჭმელს მოითხოვს ან გაქცევას შეეცდება, დახვრეტით ისჯება. ჩრდილოეთ კორეასა და სამხრეთ კორეას შორის არსებული საზღვარი მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის საზღვრად ითვლებოდა.

ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობა შეადგენს 25 მილიონს. ჯარში გასაწვევი ასაკი 17 წელია. ქვეყნის რეგულარული არმია 1.3 მლნ ჯარისკაციდან შედგება. დამატებით 600 ათასი რეზერვისტიც ჰყავთ

BRAMS 2024 Nov
Volume 5, Issue 11
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მომზადებული. ყოველწლიურად ჯარში 200 ათასი ვაჟი და ამავე რაოდენობის გოგონა მიჰყავთ.

აქ რელიგია ჩანაცვლებულია ათეიზმით.

ქვეყანაში ჯანდაცვა უფასოა ყველასათვის და, თითქოს, ხელმისაწვდომიც, მაგრამ, არაოფიციალური სტატისტიკით, 700 კაცზე ერთი ექიმია და 150 ავადმყოფზე კი – ერთი საწოლი. მარიხუანის მოყვანა და გამოყენება ლეგალიზებულია. ექიმები რეკომენდაციას უწევენ მას, როგორც სიგარეტის ნაკლებად მავნე შემცვლელს.

ავტომანქანის შეძენა და მისი შენახვა ძალიან ძვირი ჯდება. არც საწვავის შოვნაა იოლი. ამიტომ მოსახლეობის უმეტესობა დადის ფეხით, მატარებლით, ავტობუსით ან ველოსიპედით. თუ კორეელის რომელიმე ნათესავი იაპონიაში ცხოვრობს, მას შეუძლია რიგით კორეელს ავტომანქანა აჩუქოს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მანქანას, ზუსტად ისეთს, სახელმწიფოსაც აჩუქებს. პირადი ავტომობილის ყოლა შეუძლიათ მხოლოდ მაღალი თანამდებობის მქონე პარტიის წევრებს. სტატისტიკურად, 1000 ადამიანზე ერთი ავტომობილი მოდის.

ყოველ გზაჯვარედინზე მარეგულირებელი პოლიციელი დგას, ელექტროენერგიის დაზოგვის მიზნით. შუქნიშნის დაყენება არამიზანშეწონილია ხარჯის გამო. ერთადერთი მოქმედი შუქნიშანი კიმსუსანის მზის სასახლის,[7] იგივე, კიმ ირ სენისა და კიმ ჩენ ირის მავზოლეუმის შესასვლელთან დგას.

მოქალაქეები თავისუფლად ვერ გადაადგილდებიან ქალაქიდან ქალაქში. ერთი პუნქტიდან მეორეში გასამგზავრებლად მათ მივლინების ტიპის საბუთი უნდა გააფორმონ. კონტროლის განსახორციელებლად ყველა ცენტრალურ გზაზე სპეციალური უწყების თანამშრომლები დგანან.

2009 წლიდან მობილური კავშირი ნებადართულია. ქსელში ჩართვის ღირებულება 100 დოლარს შეადგენს,

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ხოლო ყველაზე იაფფასიანი ტელეფონი 200 დოლარი ღირს მაშინ, როცა საშუალო ხელფასი 6 დოლარია.

ხანძრის დროს სახლიდან პირველად ბელადის ფოტოები უნდა გაიტანონ, შემდეგ კი დანარჩენი ნივთები.

1997 წლის 8 ივლისიდან 2024 წლის 13 ოქტომბრამდე[8] ჩრდილოეთ კორეაში ორ კალენდარს იყენებდნენ: გრიგორიანულს, რომელიც ათვლას იწყებს ქრისტეს დაბადებიდან, და ჩრდილოკორეულ ჩუჩხე კალენდარს,[9] რომლითაც წელთაღრიცხვა 1912 წლიდან ანუ კიმ ირ სენის დაბადებით იწყებოდა.

ინფორმაცია გამუდმებით იფილტრება. არ არსებობს თავისუფალი პრესა და ტელევიზია. ჩრდილოეთ კორეის საინფორმაციო საშუალებები, ძირითადად, სამთავრობო პროპაგანდითაა გადატვირთული. აკრძალულია უცხოური ტელეარხებისა და რადიოტალღების გამოყენება. ასეთი რამ პატიმრობით ისჯება. ჩრდილო კორეელებს ინტერნეტიც შეზღუდულად მიეწოდებათ. მათ უფლება აქვთ შევიდნენ მხოლოდ იმ რამდენიმე ჩინურ საიტზე, სადაც ვერაფერს ნახავენ ისეთს, რაც დანარჩენ სამყაროსთან დააკავშირებთ.

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება საზოგადოებისთვის ინფორმაციის შეზღუდულად მიწოდების ორ ხერხს იყენებს: ცენზურასა და პროპაგანდას.[10] ქვეყანაში მედია მკაცრად რეგულირდება. აქ მხოლოდ 12 გაზეთი გამოიცემა და თითოეული ნომრის შინაარსიც მკაცრ ცენზურას ექვემდებარება. კიდევ უფრო თავისებურია ტელევიზია და მასთან დამოკიდებულება. ჩრდილოეთ კორეაში სულ 5 არხი მაუწყებლობს, მათ შორის, სპორტული და საგანმანათლებლო. ახალ ამბებს მოსახლეობა, ძირითადად, ცენტრალური ტელევიზიით იგებს.

სახელგანთქმული ჩრდილოკორეელი მსახიობი და ტელეწამყვანი, ლი ჩუნ ჰი[11] კორეის ცენტრალური მაუწყებლის დიქტორად 1974 წლიდან 2012 წლის 24 იანვრამდე უწყვეტად მუშაობდა. შემდეგ კი ასაკოვანი ქალბატონი მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სიახლის გამოსაცხადებლად ჩნდებოდა ეკრანზე.[12] დამსახურებულ დასვენებაზე გასული, საყვარელ პროფესიას ბოლომდე ვერ სწყდება და, ძირითადად, დიქტორების ახალი თაობის აღზრდითაა დაკავებული. ლის ბიოგრაფია საინტერესო იმითაა, რომ ხანგრძლივი ტელეკარიერის განმავლობაში არასოდეს დაუთხოვიათ სამსახურიდან და ხელისუფლების წმენდაში არ მოყოლილა. ითვლება, რომ კორეის ლიდერებს ხიბლავდათ მისი თხრობის მელოდრამატული სტილი. ლი შინაარსის მიხედვით ცვლიდა ხმის ტემბრსა და ჟღერადობას: მთრთოლვარე ბგერებით ახსენებდა ჩრდ. კორეის ეროვნულ ლიდერებს, მჭახე ხმით საუბრობდა დასავლეთის ქვეყნებზე, „იაპონელ ოკუპანტებსა“ და „სეულელ მოღალატეებზე“. დამსახურებულ დიქტორს მინიჭებული აქვს „შრომის გმირისა“ და „მაუწყებლობის სახალხო მუშაკის“ წოდებები, რომელსაც მრავალი პრივილეგია მოსდევს: თანამედროვე სახლი, მდიდრული ავტომანქანა, მოდური ტანსაცმლის მაღაზიებსა და გასართობ დაწესებულებებში სიარულის უფლება.

ინტერნეტის ეპოქაში ინფორმაციის კონტროლი რთულია. თუმცა, ჩრდილოეთ კორეაში ინტერნეტზე წვდომა მხოლოდ ერთეულებს აქვთ. ქვეყანას უარი არ უთქვამს ტექნოლოგიებზე, მაგრამ ინტერნეტის ნაცვლად, ხალხი ინტრანეტს იყენებს, რომელიც გარესამყაროსგან მოწყვეტილია. რადიომიმღებები პოლიციის მეთვალყურეობით ყენდება და მხოლოდ ჩრდილოეთ კორეის რადიოტალღებზეა მიმართული. როგორც აღმოჩნდა, რადიომ მაინც ყველაზე მეტად დააღწია თავი ცენზურას. ზოგიერთი ადამიანი, ვისაც ამის საშუალება აქვს, ჩინურ რადიომიმღებს იყენებს და კორეულთან ერთად, ჩინურ რადიოტალღებსაც იჭერს.

ჩრდილოეთ კორეაში უცხოური ინფორმაცია და კულტურა ყველაზე მეტად მაინც კინოინდუსტრიას შეაქვს. ხელისუფლების არაერთი მცდელობისა თუ წინააღმდეგობის მიუხედავად, ამისთვის ხელი შეშლა ურთულესი გამოდგა. სულ უფრო მეტად ვრცელდება

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სამხრეთკორეული სერიალები და ჰოლივუდური ფილმები. ჩრდილოკორეელი გაბედული ადამიანები, ძირითადად, ამ გზითა და საშუალებით მოიპოვებენ სხვა ქვეყნებზე ინფორმაციას. ინტერნეტზე წვდომის დეფიციტის გამო, ფილმებს მოსახლეობა მეხსიერების ბარათებზე ჩაწერილს ყიდულობს. ჩრდილოეთ კორეა, „ფრიდომ ჰაუსის“ შეფასებით, ინფორმაციის თავისუფლების ხარისხით, 176 ქვეყანას შორის 175-ე ადგილზეა და მხოლოდ ერითრეას უსწრებს.

სამთავრობო პროპაგანდა,[13] ცენზურასთან შედარებით, გაცილებით სუსტია. მხოლოდ მედიასაშუალებების სიმცირითა და კონტროლით მოსახლეობის მართვა, ფაქტობრივად, შეუძლებელია XXI საუკუნეში. სახელისუფლებო პროპაგანდისტული მცდელობანი ზოგჯერ სასაცილომდე პრიმიტიულია. ამის ნიმუშებს უხვად გვთავაზობს თანამედროვე ჩრდილოკორეული ყოველდღიურობა. მაგ., მმართველი ძალის თვალსაზრისით, სრული ბედნიერებისთვის ხალხს სჭირდება ფეხბურთში, არც მეტი და არც ნაკლები, ბრაზილიის დამარცხება! ჩრდილოეთ კორეის გუნდი ბრაზილიის ნაკრებს მართლაც შეხვდა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე და 2:1 წააგო.[14] თუმცა, ამ ქვეყნის მოსახლეობას დღემდე სჯერა, რომ მათმა ნაკრებმა მარაკანას სტადიონზე გაიმარჯვა, იმ ელემენტარული სიყალბის გამო, რომ ტელევიზიით მატჩის ტრანსლაციისას ბრაზილიის გატანილი გოლები...[15] ამოჭრეს!

ჩრდილოეთ კორეის მედია, სპორტული მიღწევების ანალოგიურად, თითქმის ყველაფერში ქმნის მითებს. სენსაციური ამბების (თუნდაც, გამოგონილის) დაჯერება კი მასობრივ მედიამომხმარებელს ეიოლება. ამგვარად „აღმოაჩინეს“ კორეაში მარტორქა-ცხენის ნამარხი, დასვეს ასტრონავტები მზეზე, მათმა ლიდერმა კი გოლფის პირველივე თამაშისას მსოფლიო რეკორდი 25-ჯერ გაუმჯობესა. ჩრდილოეთ კორეის მედიამ ერთ რამეში მაინც გამოიჩინა თავმდაბლობა: მათი

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ინფორმაციით, მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ქვეყანა ჩინეთია, 100 შესაძლებლიდან 100 ქულით, მათი ბედნიერების ინდექსი კი მხოლოდ 98-ია.[16]

ჩრდილოეთ კორეელთა დოკუმენტებისა და ლტოლვილთა მონაყოლის თანახმად, ჩრდილოკორეელები დაყოფილნი არიან ჯგუფებად. თითოეულ ადამიანზე შედგენილია ინფორმაცია – სონბანი,[17] სადაც წერია ყოველი ინდივიდის ბიოგრაფიული მონაცემები: როგორია მისი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური წარსული; სამი თაობის განმავლობაში როგორი მოქალაქეები იყვნენ მისი წინაპრები. ხომ არ ყოფილან რევოლუციონერები და კომუნისტური წყობილების მოწინააღმდეგენი; სონბანით განისაზღვრება, თუ რამდენად სანდოა ადამიანი, რა სამსახურში უნდა გამწესდეს და ისიც კი, თუ რას მიირთმევს, როგორ სამზარეულოს ანიჭებს უპირატესობას. ასეთ კასტურ დაყოფას, ცხადია, უარყოფითი ეფექტი აქვს განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობებზე.[18]

სონბანს გააჩნია სამი კლასიფიკაცია და, დაახლოებით, 50 ქვეკლასიფიკაცია. ძირითადი, ერთგული კლასი მოსახლეობის 25%-ს შეადგენს, კლასი, რომელიც ორჭოფობს 55%-ია, ხოლო მტრების კლასი მოსახლეობის 20%-ს აღწევს. ყველაზე დაფასებულ კლასს ის ადამიანები განეკუთვნებიან, ვინც კიმ ირ სენის მხარდამხარ იბრძოდა იაპონური ოკუპაციის წინააღმდეგ და ვინც იმ დროს მუშათა კლასს განეკუთვნებოდა. ჩრდილოეთ კორეის მთავრობა უარყოფს ყოველგვარ კლასობრივ დაყოფასა და დისკრიმინაციას. მთავრობის გაკრიტიკების ან ქვეყნიდან გაქცევის მცდელობის შემთხვევაში ციხეში მიდის მთელი ოჯახი და ორი შემდეგი შთამომავალიც.[19]

სახელმწიფო, რომელიც იზოლირებულია ეკონომიკური, სოციალური, საინფორმაციო თუ სხვა მიმართულებით, მხოლოდ საკუთარი თავის იმედზეა დარჩენილი. მთავრობა კარგა ხანია ამუშავებს მძლავრ პროპაგანდისტულ მანქანას. ამ ქვეყნის ხელისუფლების

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მედიაპოლიტიკის გაცნობისას ცალსახად გვახსენდება ჯორჯ ორუელის რომანი „1984“. ბრიტანელი მწერლისა და პუბლიცისტის ნაწარმოებში მისი თანადროული საბჭოეთია ალეგორიულად ნაგულისხმევი, მაგრამ იგი სრულად ესადაგება ჩრდილოეთ კორეის ამჟამინდელ ვითარებასაც: „ვინც წარსულს აკონტროლებს, ის აკონტროლებს მომავალს. ვინც აკონტროლებს აწმყოს, აკონტროლებს წარსულსაც“, წერდა კლასიკოსი.

იოლი დასანახია, რომ ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება უკვე მრავალი წელია სამივე დროის მიმართულებით ახორციელებს კონტროლს და ე.წ. „საბჭოური ცხოვრების წესის“ გავლენა აშკარადაა გამოკვეთილი. ჩრდილოკორეული მედიაპროპაგანდის ნიმუშების გაცნობა ჩრდილოეთ კორეის პოლიტიკური ისტორიის შესწავლის გარეშეც მნიშვნელოვან წარმოდგენას უქმნიან თანამედროვე ადამიანს დიქტატორული ქვეყნის სავალალო რეალობაზე.

სამთავრობო პიარის მეტყველი ნიმუშია ჩრდილოეთ კორეაში წარმოებული ავტომობილის სარეკლამო რგოლი, რომელიც 2010 წელსაა ატვირთული იუთუბზე. მასში თვალსაჩინოვდება სახელისუფლო პროპაგანდის ყველა ძირითადი აქცენტი. ვიდეორგოლს ფონად გასდევს ემოციური გახმოვანება, რაც რეკლამის შინაარსს გამოკვეთს და მსმენელზე ზემოქმედების ძალას აუდიო ეფექტით ამძაფრებს.[20]

ვიდეოს დასაწყისში ჩნდება ავტობანზე მოძრავი ოთხი ერთნაირი ავტომობილი. დიქტორი იწყებს ამ ავტომობილების დახასიათებას, არ იშურებს ეპითეტებს. ამბობს, რომ ეს ძალიან ლამაზი, თანამედროვე და სწრაფი მანქანები კორეის სრულყოფილ, იდეალურად დაგებულ გზებზე დადიან. აქცენტი კეთდება არა მხოლოდ სარეკლამო ავტომობილებზე, არამედ, ზოგადად, სახელმწიფოს სრულყოფილებაზე მინიშნებით. ისიც ხაზგასმულია, რომ კორეაში ინფრასტრუქტურა უმაღლეს დონეზეა.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

შემდეგი კადრი გვაცნობს ავტომობილის ინტერიერს. ხმა განსაკუთრებული სიამაყით ყვება, რომ ეს ავტომობილი აღჭურვილია რადიოთი, სადაც შეგიძლია განუწყვეტლივ უსმინო შენს დიდებულ ბელადს. ამას მოჰყვება ბელადის ხოტბა, მის ღირსებათა აქცენტირება. მომდევნო კადრში უკვე ავტომობილის ექსტერიერი მოჩანს. პარალელურად, ხმა სიამაყით გვაუწყებს, რომ ეს ავტომობილი „ტოიოტაზე“ უკეთესია. ამ ფრაგმენტში იმის პროპაგანდირება ხდება, რომ ჩრდილოეთ კორეას უკეთესი მრეწველობა აქვს, ვიდრე მის მეტოქე იაპონიას, რომელიც „ტოიოტას“ მარკის ავტომობილებს აწარმოებს.

შემდეგ იწყება ავტომობილის ძირითადი მახასიათებლების აღწერა. კადრს მიღმა ხმა გვამცნობს, რომ ავტომობილს განსაკუთრებულად მანათობელი ფარები აქვს, რათა მისი სიკაშკაშით თვალი მოსჭრა და დააბრმავო ამერიკელები. კვლავ ისაა გახაზულ-შეხსენებული, რომ აშშ „მტრის ხატს“ წარმოადგენს ჩრდილოკორეელისთვის.

მომდევნო კადრში ოთხივე ავტომობილი თანაბარი სიჩქარითა და ერთნაირი დისტანცირებით გადაადგილდება. ხმა გვიზუსტებს, რომ განსაკუთრებულად ლამაზი სანახავია ერთიდაიმავე სიჩქარით მოძრავი ავტომობილები და არანაირად არაა საჭირო, რომელიმე იყოს გამორჩეული, განსხვავებული, მაგ., სხვაზე უფრო სწრაფი. ეს აქცენტი გულისხმობს და გამიზნულია აჩვენოს ხელისუფლების დამოკიდებულება მოსახლეობისადმი, თუ როგორ ცდილობს სახელმწიფო კომუნიზმის იდეის რეალიზებას – ადამიანები იყვნენ ერთნაირები, მსგავსნი, არაფრით განსხვავდებოდნენ, არავინ გამოირჩეოდეს. ამავე მოტივითა თუ არგუმენტით ამართლებენ იმ ფაქტს, რომ ამ ავტომობილის მხოლოდ ერთი მოდელია წარმოებაში.

ტექნიკური მახასიათებლების გაცნობისას მთხრობელი აღნიშნავს, რომ ავტომობილის სიჩქარე ლიმიტირებულია 184 კმ/სთ-მდე. ლიმიტირების მიზანია,

BRAMS 2024 Nov
Volume 5, Issue 11
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მოქალაქე არ გაიქცეს დასავლეთ ევროპაში, სადაც „გაუმაძღარი კაპიტალისტები“ ცხოვრობენ. ვიდეორგოლი მთავრდება ბელად კიმ ირ ჩენის ხოტბითა და ლოცვით.

განხილული ვიდეორგოლი სამთავრობო პიარის, პოლიტიკური პროპაგანდის ტიპური ნიმუშია და მიზნად ისახავს საზოგადოებისთვის ახალი მოდელის ავტომობილის წარდგენას იმავე ძირითადი აქცენტებით, რასაც ემსახურება სახელმწიფო პოლიტიკა. როგორც ვხედავთ, იზოლირებული სახელმწიფო მშვენივრად ახერხებს, ფეხი აუწყოს თანამედროვე პიარს, თუკი ეს მის ინტერესებშია.

ჩრდილოეთ კორეიდან წამოსული ახალი ამბები განვითარებული ქვეყნების მედიამომხმარებლის დიდ ინტერესს იწვევს და პოპულარობითაც სარგებლობს. პრობლემა ისაა, რომ ინფორმაცია ხშირად ყალბია. იზოლირებულ ქვეყანაში კი ინფორმაციის, ფაქტის გადამოწმება, რაც მასკომუნიკაციის ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა, თითქმის შეუძლებელია.[21]

ერთი მხრივ, ჩრდილოეთ კორეა სამთავრობო პროპაგანდისტულ მანქანას აქტიურად ამუშავებს საკუთარი მოსახლეობის შემეცნებაში თავისთვის სასურველი იდეების ფორმირების მიზნით. ამასთანავე, პარალელურად, ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგაც მიმდინარეობს არანაკლები ინფორმაციული, პროპაგანდისტული ომი. მოწინააღმდეგე მხარეები საამისოდ არცთუიშვიათად იყენებენ ცრუ ინფორმაციას ანუ ფეიკ-ნიუსებს.

2019 წლის მაისის დასასრულს გავრცელდა ინფორმაცია, თითქოსდა, კიმ ჩენ ინმა დონალდ ტრამპთან ჩავარდნილი მოლაპარაკებების გამო თავისი დიპლომატები სიკვდილით დასაჯა.[22] ამის თაობაზე მასალა[23] გაავრცელა სამხრეთკორეულმა ყოველდღიურმა გაზეთმა „ჩოსონ ილბომ“.[24] ეს ცნობა მიუთითებდა ჩრდილოეთ კორეის პოლიტიკური ელიტის მიერ ძალაუფლებისთვის ბრძოლისას გამოყენებულ სასტიკ, მიუღებელ ფორმებზე. ეს მაშინ, როდესაც აშშ-ის

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

პრეზიდენტი დონალდ ტრამპი და ჩრდილოეთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერი კიმ ჩენ ინი ცდილობდნენ ეწარმოებინათ მოლაპარაკებები კორეის ნახევარკუნძულის ბირთვული განიარაღების თაობაზე.

აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნებიდან რამდენიმე წუთში იგი აიტაცა და გაავრცელა ისეთმა საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტომ, როგორიცაა „როიტერსი“. სენსაციური ახალი ამბები გავრცელების სისწრაფით გამოირჩევა, მითუფრო, სკანდალური და კიდევ უფრო მეტად – ტრაგიკული ელემენტების შემცველი. ამერიკულ მედიაში „რუხი კარდინალის“ ეპითეტით ცნობილი გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ პირველი იყო, ვინც ამის თაობაზე დაწერა. შემდეგ ეს სიცრუე გერმანიის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს და მთავარ წყაროდ სამხრეთკორეული გაზეთი „ჩოსონ ილბო“ მიუთითეს. უკვე 2 ივნისს, კვირა საღამოს, ჩრდილოეთ კორეის დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელი, გენერალი კიმ იონ ჩოლი,[25] რომელიც გავრცელებულ ინფორმაციის თანახმად, „კიმ ჩენ ინის ბრძანებით დახვრიტეს“, სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად ჩრდილოეთ კორეის ცენტრალური საინფორმაციო სააგენტოს (KCNA) მიერ გამართული კონცერტის ტელეტრანსლირების დროს საღსალამათი გამოჩნდა ეკრანზე. იდენტური იყო 2015 წლის მაისში გავრცელებული ცრუ სადაზვერვო ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს, 30 აპრილს აეროპორტში დახვრიტეს თავდაცვის მინისტრი ჰიენ იონ ჩოლი, რომელიც „გარდაცვალების“ შემდეგაც ეკრანზე ჩნდებოდა.[26]

კიდევ ერთი ცრუ ნიუსი, რომელიც ვირუსულად მოედო მსოფლიოს, გვამცნობდა, რომ, თითქოსდა, ჩრდილოეთ კორეაში თმის მხოლოდ 18 ვარცხნილობაა დაშვებული ქალბატონებისთვის, ხოლო მამაკაცებისთვის მხოლოდ ათი.[27] ეს „ფეიკი“ ერთ-ერთმა მომხმარებელმა განათავსა ამერიკულ სოციალურ ქსელ რედიტში. მან გამოიყენა Associated Press-ის ფოტოგრაფის მიერ

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გადაღებული ფოტო, რომელიც ფხენიანის ერთ-ერთ სილამაზის სალონში გამოკრულ ვარცხნილობებს ასახავდა. ფოტოს მინაწერში მიუთითა, რომ ესაა ის 18 ვარცხნილობა, რომელიც ოფიციალურადაა დაშვებული ხელისუფლების მიერ. ამ ფეიკ-ინფორმაციამ საქართველოს მედიასივრცეშიც გაიელვა.[28] Associated Press-ის ოფიციალურ ვებგვერდზე იმავე ფოტოს სრულიად განსხვავებული მინაწერი ჰქონდა და იუწყებოდა, რომ ფოტოზე გამოსახულია თმის ვარცხნილობის ნიმუშები, რომლებიც ფხენიანის ერთ-ერთ სილამაზის სალონში იყო გამოკრული 2013 წლის 20 თებერვალს, ოთხშაბათ დღეს. „გარდა ამისა, თუ ფხენიანის ქუჩებში გაივლით, ან ნახავთ ვიდეოს, რომელიც ჩრდილოეთ კორეაშია გადაღებული, თავად დარწმუნდებით, რომ ადამიანებს თმის განსხვავებული ვარცხნილობები აქვთ“.[29]

ამ ნიმუშების განხილვის შედეგად უთუოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩრდილოეთ კორეის მედიასაშუალებებში არცთუიშვიათია სამთავრობო პიარის ნიმუშები. პოლიტიკური პროპაგანდის პარალელურად, არსებობს გარკვეული ტენდენცია, რომელიც მიზნად ისახავს ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებული ფაქტებისა თუ მოვლენების დამახინჯებას.[30] საამისოდ, იყენებენ ცრუ ინფორმაციის, ე.წ. „ფეიკის“ გავრცელების არაერთ ცნობილ ხერხსა თუ მეთოდს, ფაქტების გაყალბება-დამახინჯებით დაწყებული და არაადეკვატური, შეუსაბამო ინტერპრეტაციით დასრულებილი. არ გამოვრიცხავთ, რომ ეს ყველაფერი მიზანმიმართულად ხდებოდეს ფხენიანის დისკრედიტაციის მიზნით. საზოგადოებრივ აზრზე ზეწოლის გზით ისეთი იდეის, მოსაზრების, პოზიციის გავრცელება და ჩანერგვა, რათა ჩამოყალიბდეს სტერეოტიპი იმის თაობაზე, რომ აღნიშნული მოვლენები ჩრდილოეთ კორეისათვის ნორმას წარმოადგენს. ამას გვაფიქრებინებ ის გარემოებაც, რომ სტატიაში განხილული რამდენიმე ცრუ ინფორმაცია, ისევე როგორც

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

არაერთი სხვაც,[31] ძირითადად, ვირუსულად ვრცელდება. რაც მთავარია, მას ავრცელებს ჩრდილოეთ კორეისადმი, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილგანწყობილი სახელმწიფოების საინფორმაციო სააგენტოები.

ლიტერატურა ▫ References

1. English language website of the Democratic People's Republic of Korea (DPRK) [https://dprkgovernment.com]
2. Routledge Handbook of Contemporary North Korea (2019, November 22 [https://ebrary.net/229532/education/routledge_handbook_of_contemporary_north_korea]
3. Britannica Editors (2023, May 22). 38th parallel. *Encyclopedia Britannica* [https://www.britannica.com/place/38th-parallel]
4. Barnes, Robert (2014). *The US, the UN and the Korean War: Communism in the Far East and the American struggle for world hegemony*. IB Tauris.
5. კიმ ირ სენი (Kim Ir Sen) კორეელი ლიდერის სახელის რუსული ალფავიტისთვის მორგებული ტრანსლიტერაციაა კონცევიჩის სისტემის (Kontsevich system) მიხედვით, ხოლო ლათინური ტრანსლიტერაციით, რომელსაც დასავლური სამყარო იყენებს, ამ ადამიანის სახელია კიმ ილსონი (Kim Il-Sung). იხ.: Britannica Editors (2024, April 17). Kim Il-Sung. *Encyclopedia Britannica* [https://www.britannica.com/biography/Kim-Il-Sung]
6. Murray, Lorraine (2024, May 4). Kim Jong-Un. *Encyclopedia Britannica* [https://www.britannica.com/biography/Kim-Jong-Eun]
7. Kim, Sean (2024, February). *Historical Landmarks and Sightseeing around Kumsusan Palace of the Sun – Pyongyang*. Korea Trip Guide [https://www.koreatripguide.com/destinations/historical-landmarks-and-sightseeing-around-kumsusan-palace-of-the-sun-pyongyang]
8. Kim Han-joo (2024, October 17). *N. Korea stops using 'juche' calendar in effort to reinforce Kim's leadership*. Korean Vibe

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

[https://korean-vibe.com/news/newsview.php?ncode=179551182230755]
9. Johnson, Gareth (2024, December 11). *History of The Juche Calendar (and its demise)*. Young Pioneer Tours [https://www.youngpioneertours.com/understanding-juche-calendar/]
10. EAVI (2019, December 11). *What is propaganda?* Media Literacy for Citizenship [https://eavi.eu/wp-content/uploads/2016/06/What-is-propaganda_SLIDES.pdf]
11. BBC News (2016, February 8). *What we know about Ri Chun-hee, the most famous woman in North Korea*. BBC [https://www.bbc.com/news/newsbeat-35524750]
12. Madden, Michael, and Joseph S. Bermudez, Jr. (2010). Ri Chun Hui. *KPA Journal*, 1(10), 4–5. [http://www.kpajournal.com/vol-1-no-10-october-2010/]
13. მაცაბერიძე მალხაზ (2013). პოლიტიკური პროპაგანდა. თბილისი.
14. BBC Sport (2010, June 15). Brazil 2-1 North Korea [Match report]. *FIFA World Cup 2010*. [http://news.bbc.co.uk/sport2/hi/football/world_cup_2010/8729251.stm]
15. FIFA. (2012, April 20). *Brazil v Korea DPR | 2010 FIFA World Cup | Match Highlights* [Video]. YouTube [https://www.youtube.com/watch?v=cANF1GPT6yQ]
16. ქეშელაშვილი ალექსანდრე (24 აპრილი, 2017). ცენზურა ჩრდილოეთ კორეაში და პროპაგანდა სრული იზოლაციისთვის [https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/tendenciebi/article/48968-cenzura-chr-koreashi-da-propaganda-sruli-izolaciisthvis]
17. Person, James (2006). 'We need help from outside': The North Korean opposition movement of 1956. *Cold War International History Project Working Paper*, No. 52. Woodrow Wilson Center Press & Stanford University Press, pp. 29-32.
18. Robertson, Phil (2016, July 5). *North Korea's Caste System: The Trouble with Songbun*. Human Rights Watch [https://www.hrw.org/news/2016/07/05/north-koreas-caste-system]

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

19. ქეშელაშვილი ალექსანდრე (24 აპრილი, 2017). ცენზურა ჩრდილოეთ კორეაში და პროპაგანდა სრული იზოლაციისთვის [https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/tendenciebi/article/48968-cenzura-chr-koreashi-da-propaganda-sruli-izolaciisthvis]
20. Kernafval (2010, July 5). *North Korean car commercial subtitled* [Video]. YouTube. [https://www.youtube.com/watch?v=qM3UAnCH5IE]
21. Кретчмер, Фабиан, and Наталья Позднякова (2019, June 4). Как рождаются фейки о Северной Корее. *DW* [https://www.dw.com/ru/как-рождаются-фейки-о-северной-корее/a-49035009]
22. კიმ ჩენ ინმა დონალდ ტრამპთან ჩავარდნილი მოლაპარაკებების გამო თავისი დიპლომატები სიკვდილით დასაჯა (31 მაისი, 2019). *Imedi News* [https://imedinews.ge/ge/msoflio/107280/media-kim-chen-inma-donald-tramptan-chavardnili-molaparakebebis-gamo-tavisi-diplomatebi-sikvdilit-dasaja]
23. Kim Myong-song (2019, May 31). *Kim Jong-un 'Brutally Purged Officials' After Failed Summit*. The Chosun Daily [https://www.chosun.com/english/north-korea-en/2019/05/31/6UY23OF64YIUSYT3QRUS7OTMSY/]
24. „ჩოსონ ილბო" (ინგლ. The Chosun Ilbo, იგივე, „ჩოსონ დეილი" ინგლ. The Chosun Daily) – კორეის რესპუბლიკის უდიდესი გაზეთი. დააარსა იაპონიის კოლონიალურმა ადმინისტრაციამ 1920 წლის 5 მარტს. ყოველდღიური გამოცემის შემქნის მიზანი იყო გენერალ-გუბერნატორ საიტო მაკოტოს (1858-1936) „კულტურული მმართველობის" განხორციელება ანუ ბეჭდური მედიის გამოყენება პროპაგანდისტული მიზნებისათვის. 1940-1945 წლებში კორეულ ენაზე პრესა დროებით აიკრძალა. დამოუკიდებელ სამხრეთ კორეაში „ჩოსონ ილბოს" გამოცემა განახლდა. ამჟამად მემარჯვენე პოლიტიკის მხარდამჭერი ორგანოა. გაზეთის ტირაჟია 1.8 მლნ ეგზემპლარი. ასევე გამოდის

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ყოველკვირეული და ყოველთვიური გამოცემებიც [https://www.chosun.com/english/]
25. Campbell, Charlie (2018, June). Who Is Kim Young Chol? Meet Kim Jong Un's Ever-Present Right-Hand Man. *Time* [https://time.com/5292956/kim-yong-chol-north-korea/]
26. Дивеева, Юлия (2015, May 14). Расстрелянный министр обороны КНДР выступил по телевидению. Комсомольская правда. [https://www.kp.ru/online/news/2055682/]
27. TIL in North Korea you must choose from among 18 approved haircuts for women or 10 approved haircuts for men (2017). ZombieAlpacaLips. *Reddit* [https://www.reddit.com/r/todayilearned/comments/64lxy8/til_in_north_korea_you_must_choose_from_among_18/]
28. მაკელაინენი, მიკა (18 აპრილი, 2017). ჩრდილოეთ კორეაში თმის მხოლოდ 15 ვარცხნილობაა დაშვებული. *Imedi News* [https://imedinews.ge/ge/tabloidi/10420/chrdiloet-koreashi-tmis-mkholod-15-vartskhnilobaa-dashvebuli]
29. Кретчмер, Фабиан, and Наталья Позднякова (2019, June 4). Как рождаются фейки о Северной Корее. *DW* [https://www.dw.com/ru/как-рождаются-фейки-о-северной-корее/a-49035009]
30. ლაშა_ს (19 სექტემბერი, 2016). ბელადის სამყარო ჩრდილოეთ კორეა. Qwelly [https://qwelly.com/profiles/blogs/chrdiloet-korea]
31. Armstrong, Charles K. (2017). North Korea in 2016: Much More of the Same. *Asian Survey*, *57*(1), 119–127. [https://www.jstor.org/stable/26367731]

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)